



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება N95**

5 თებერვალი 2019 წ.

ქ. რუსთავი

**რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი

დანართი

**რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი**

N	მარშრუტის დისლოკაციის ადგილი ქალაქ თბილისში	მოძრაობის მარშრუტი (M3 კატეგორია)
		<p>რუსთავის რკინიგზის სადგური, შ. რუსთაველის ქ. - მ. კოსტავას გამზირი, გმირთა მოედანი - ხალხთა მეგობრობის გამზირი - ჟ. შარტავას გამზირი - რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება).</p> <p>უკუმიმართულება: რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის</p>

1	ნავთლუღის ქ. N6/2-ის მოპირდაპირედ	დასახლება) - ჟ. შარტავას გამზირი - ხალხთა მეგობრობის გამზირი - გმირთა მოედანი - მ. კოსტავას გამზირი - ფიროსმანის ქ. - გ.ნიკოლაძის ქ. - ი. ჭავჭავაძის ქ. - დონეცკ მეტალურგების ქ. - შ. რუსთაველის ქ. - რუსთავის რკინიგზის სადგური;
2	ნავთლუღის ქ. N6/2-ის მოპირდაპირედ	გმირთა მოედანის მიმდებარე ტერიტორია - ხალხთა მეგობრობის გამზირი - ჟ. შარტავას გამზირი - რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება).  უკუმიმართულება: რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება) - ჟ. შარტავას გამზირი - ხალხთა მეგობრობის გამზირი - გმირთა მოედანის მიმდებარე ტერიტორია;
3	ნავთლუღის ქ. N6/2-ის მოპირდაპირედ	ჟ. შარტავას გამზირის #25-ის მიმდებარე ტერიტორია (რუსთავის გასასვლელი) - რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება).  უკუმიმართულება: რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება) - ჟ. შარტავას გამზირის #25-ის მიმდებარე ტერიტორია (რუსთავის შემოსასვლელი);

**შენიშვნა:** საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერებების დისლოკაციები განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.